ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01183253711**
თარიღი: **21/11/2018**
პინი: **1807**

ადრესატი: ამირან ნიკოლეიშვილი
პირადი ნომერი: 01007000255
მისამართი: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 77 ბ. 57

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N19/0118246758-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-018 *405026877*

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 8-18/01182467 58-17

"21" 11 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №29-ში (საკ. კოდი №01.14.14.012.019) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3722741 07.12.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი-ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №29-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია რიგელების რაოდენობა, საკომუნიკაციო შახტებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მათი რაოდენობა. გაზრდილია "ე" და "9" ღერძების კვეთასთან მდებარე ლიფტის შახტის სიმაღლე და მდებარეობა. შეცვლილია წყლაშემკრები მილების რაოდენობა და ნაწილობრივ მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტები და მდებარეობა, ასევე კაპიტალური და ლითონის მოაჯირების სიგრძეები. აივნებზე დამატებულია ლიფტების სამანქანოებისთვის განკუთვნილი ფილების დონე. -5.40 და -2.70 ნიშნულებზე "6-7" მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის სიგანე და შეცვლილია ბაქნის ფორმა.

ტერიტორიაზე "ე" ღერძის გარეთ შეცვლილია საპროექტო ბაქნის ფორმა და მასზე დამატებულია ლითონის მოაჯირი.

+4.00 ნიშნულზე და მის ზევით "10-11" და "დ-ე" მონაკვეთში მდებარე კიბის უჯრედში გაუქმებულია კიბის საფეხურებზე "პანდუსი ეტლისთვის".

-5.40 ნიშნულზე "დ" ღეძზე "6" მონაკვეთში, აგრეთვე "ე" ღერძზე "8-9" მონაკვეთში დამატებულია ლიფტის შახტები, რის გამოც ნაწილობრივ შემცირებულია "6-10" მონაკვეთში არსებული პანდუსის სიგანე. "12", "13" ღერძებზე "გ-ე" მონაკვეთში არსებულ კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი. შემცირებულია "დ-ე" ღერძზე არსებული პანდუსის სიგრძე. "7" ღეძზე "დ-ე" მონაკვეთში დამატებულია მონოლითური კედელი. "დ" ღერძზე "10-11" მონაკვეთში დამატებულია კოლონა. -2.70 ნიშნულზე "დ-ე" ღერძებზე "2-3" მონაკვეთში სართულშუა ფილაზე დამატებულია ღიობი და მონოლითური კედელი. "ე" ღერძზე "8-9" მონაკვეთში დამატებულია ლიფტის შახტა. +0.00 ნიშნულზე "ა" ღერძის გარეთ გაზრდილია პანდუსის სიგრძე, რის გამოც შემცირებულია დახრის პროცენტი. "დ-ე" მონაკვეთში "13" ღერძთან მდებარე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია "12" ღერძზე. "გ-ა" მონაკვეთში "7" ღეძთან მდებარე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი "8" ღერძისკენ, ხოლო "დ-გ" მონაკვეთში ამავე ღერძთან მდებარე კედლის კვეთი შემცირებულია. "5" ღერძზე "ე-ზ" მონაკვეთში მონოლითურ კედელში დამატებულია ღიობი. "1-7" მონაკვეთი ნაწილობრივ გაზრდილია მონოლითური კედლების კვეთი. "7" ღერძზე "გ-დ" მონაკვეთში შემცირებულია კედლის კვეთი. +4.00 ნიშნულზე "10-11" მონაკვეთში გაზრდილია სადარბაზოს ფართი. +7.30 ნიშნულზე "გ" ღერძზე "2-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. +10.40 ნიშნულზე "ბ" ღერძის გარეთ მდებარე აივანზე "8" ღერძზე დამატებულია კაპიტალური კედელი. +30.40 ნიშნულზე "8-10" მონაკვეთში "გ" ღერძის გარეთ მდებარე აივნის გაბარიტი გაზრდილია, მასზე დამატებულია ტიხრები. +37.44 ნიშნულზე ტერასაზე დამატებულია საკომუნიკაციო შახტები. შეცვლილია ტერასის კონტური და გაზრდილია მისი ფართი. "11-12" მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა და სიგანე. ტერასაზე დამატებულია კიბის საფეხურები "11" და "დ" ღერძების კვეთასთან, ასევე "დ" და "10" ღერძების კვეთასთან. "3" ღერძის გარეთ "დ-ე" მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია შუშის გამყოფი ტიხარი. "4" ღერძის გარეთ "ა-გ" მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია კონდენციონერი. +53.94 ნიშნულზე კაპიტალური მოაჯირის თავზე გაუქმებულია ლითონის სახელურები.

"12-2" ფასადი: "13-8" მონაკვეთში შეცვლილია რელიეფის ზედაპირის ნიშნული. "9" ღერძთან +0.00 ნიშნულის ქვევით დამატებულია კიბის საფეხურები. ამავე ღერძთან მდებარე კარის თავზე დამატებულია მინის მსუბუქი გადახურვა, ხოლო "10" ღერძის მარცხნივ გაზრდილია კარის გაბარიტი. "10" ღერძთან +4.00 ნიშნულზე აივნის ძირზე რიგელის ნაწილი გაუქმებულია და ფორმა

შეცვლილია. +4.00 ნიშნულზე "4-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კარი. +7.30 ნიშნულზე "4-3" მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი, ხოლო "3-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. +10.60 ნიშნულზე "5" ღერძთან დამატებით მოწყობილია გამათბობლის კარადა საჰაერო გამწოვი მილით. "13-11" მონაკვეთში +37.44 ნიშნულზე კედლის ფორმა შეცვლილია და დამატებულია ორი ფანჯარა და მილი.

"2-12" ფასადი: +4.00 ნიშნულზე "10-13" მონაკვეთში ერთის ნაცვლად მოწყობილია ორი ვიტრაჟი. +50.64 ნიშნულთან "5-6" მონაკვეთში, ვიტრაჟების თავზე, სართულშუა გადახურვის ფილა სცდება კედლის სიბრტყეს.

"ზ-ა" ფასადი: +0.00 ნიშნულზე "დ-გ" მონაკვეთში ვიტრაჟში დამატებით მოწყობილია კარი.

"ა-ზ" ფასადი: "ა-გ" მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟი, ხოლო კედელზე გაუქმებულია ქვის მოპირკეთება. "გ-ე" მონაკვეთში კედელი დამატებით შეფუთულია გოფრირებული ფერადი თუნუქით, "გ" ღერძთან გაუქმებულია წყალშემკრები მილი. ამავე მონაკვეთში +40.74 ნიშნულზე შემცირებულია კედლის სიმაღლე, გაუქმებულია ლითონის ყრუ ფირფიტები და მოწყობილია მინის მოაჯირი.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „სითი სთარ"-ს, ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №29-ში (საკ. კოდი №01.14.14.012.019) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0118246758-17 03.09.2018წ. განცხადება.
№წ-19/0118246758-17 04.09.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე